MIA 5 23 02610394

07/09/2023

ხელშეკრულება N O61/09
მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი 7 სექტემბერი 2023 წ.

მომსახურების გამწევი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (დეპარტამენტი)(შემდგომში სააგენტო/მომსახურების გამწევი);
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202191289;
სააგენტოს უფროსი (დეპარტამენტის თავმჯდომარე): ზაზა ფანცულაია (პ/ნ01002001358);
იურიდიული მისამართი: ქ. მცხეთა, ფარნავაზ მეფის ქ. №1;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - 707137049.

მომსახურების მიმღები: ფიზიკური პირი - გიორგი ქევანიშვილი
პირადი ნომერი: 60002009962
მისამართი: ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. N1, ბინა 34;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი" , ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE53BG0000000100361100
ტელეფონი: 599 70 80 13;
ელ.ფოსტა: davitelizbarashvili@yahoo.com;

მხარეები, ვმოქმედებთ რა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **„მომსახურების მიმღები"** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაინტერესებულია სააგენტოსგან მიიღოს შესაბამისი მომსახურება.
1.2 **„მომსახურება"** - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.3 **„საფასური"** - სააგენტოს მიერ შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი გადასახდელი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი სახელმწიფო მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №308 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 4 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება - *სახანძრო-უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია.*

მუხლი 3. მომსახურების პირობები და ხელშეკრულების ღირებულება

3.1ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება მომსახურების მიმღების მიერ მომსახურების საფასურის გადახდის შემდგომ მხარეთა მიერ ზეპირად შეთანხმებულ დროს 1 (ერთი)საათის განმავლობაში.
3.2 ამ ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **50 (ორმოცდაათი) ლარი** .
3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.
3.4 ამ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში გასაწევი მომსახურების დასრულების დრო აღინიშნება მხარეთა შორის გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტში.
3.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე, ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ „მომსახურების მიმღებმა" მომსახურების გაწევის დაწყებამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე მოითხოვა იმავე მომსახურების გაწევა სხვა პირობებით ან სხვა მომსახურების გაწევა.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მომსახურების მიმღები" ვალდებულია:
ა) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას ხელი შეუწყოს და საჭიროებისას სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სააგენტოს წარმომადგენლებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში.
ბ) სააგენტოს წარმომადგენლებს დროულად და სრული მოცულობით მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებაში.
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 „მომსახურების გამწევი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯეროვნად შესრულება;
ბ) განახორციელოს „მომსახურების მიმღების" მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული სააგენტოს საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით (რეკვიზიტების შესაბამისად).

5.2 „მომსახურების მიმღები“ ვალდებულია, საფასური გადაიხადოს წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევის დაწყებამდე.
5.3 სააგენტო უფლებამოსილია, საფასურის გადახდამდე არ დაიწყოს შესაბამისი მომსახურების გაწევა.
5.4 თუ მომსახურების საფასური გადახდილია დადგენილზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნდება მის მიერ გადახდილ თანხასა და მომსახურების საფასურს შორის არსებული სხვაობა უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.5 გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:
ა) სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების ან სხვა ობიექტური გარემოებების გამო ვერ უზრუნველყოფს მომსახურების განხორციელებას;
ბ) დაინტერესებული პირი მომსახურების დაწყებამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე წერილობითი ფორმით უარს აცხადებს მომსახურებაზე.
5.6. ამ ხელშეკრულების 5.5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების შემთხვევაში, გადახდილი საფასურის სრულად დაბრუნება ხორციელდება შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.7 თუ სააგენტოს მიერ მომსახურების დაწყების შემდეგ „მომსახურების მიმღებმა“ განაცხადა უარი მომსახურების განხორციელებაზე, „მომსახურების მიმღებს“ დაუბრუნდება საფასურის ნაწილი, რომელიც გამოიანგარიშება მომსახურების დარჩენილი დროის პროპორციულად.

მუხლი 6. „ფორს-მაჟორი“და ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
6.3 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
6.4 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეთანხმებით. ასეთი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

8.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
8.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ „მომსახურების მიმღები“ ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც სააგენტო წერილობით აცნობებს „მომსახურების მიმღებს“.
9.2 სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტო პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის.
9.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულებით სააგენტოს მიერ განხორციელებული მომსახურება, მიუხედავად იმისა, სრულად შესრულდა თუ ნაწილობრივ, დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მომსახურების მიმღებს“, ხოლო ორი - სააგენტოს.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

მომსახურების მიმღები: ფიზიკური პირი - გიორგი ქევანიშვილი
პირადი ნომერი: 60002009962
მისამართი: ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. N1, ბინა 34;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი“ , ბანკის კოდი BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE53BG0000000100361100
ტელეფონი: 599 70 80 13;
ელ.ფოსტა: davitelizbarashvili@yahoo.com
ფიზიკური პირი _____გიორგი ქევანიშვილი

მომსახურების გამწევი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ- სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (დეპარტამენტი) ს/კ:202191289
მის: ქ. მცხეთა, ფარნავაზ მეფის ქ.# 1
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა,კოდი TRESGE22
კოდი: 707137049
საკონტაქტო: 591 80 20 09

სახელმწიფო ხაზინა - TRESGE22. ჩარიცხეთ სახაზინო კოდზე: 707137049 დანიშნულებაში მიუთითეთ: ხელშეკრულების ნომერი - N O61/09 მომსახურება - მუხლი 3 , პუნქტი 4

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო
სააგენტოს უფროსი /დეპარტამენტის თავმჯდომარე/
ფანცულაია ზაზა

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი ---- ---------- 2023 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (შემდგომში - მომსახურების გამწევი) (ს/კ 202191289) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის (დეპარტამენტის უფროსი) ზაზა ფანცულაიას სახით, ხოლო მეორე მხრივ ფიზიკური პირის გიორგი ქევანიშვილის (პ/ნ 60002009962) (შემდგომში - მომსახურების მიმღები) სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მომსახურების გაწევის შესახებ 2023 წლის 7 სექტემბრის NO61/09 ხელშეკრულების თანახმად მომსახურების გამწევმა მომსახურების მიმღებს გაუწია 50 (ორმოცდაათი) ლარის ღირებულების მომსახურება *სახანძრო-უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია*

აქტი სწორია, რომელსაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

მომსახურების გამწევი:

სააგენტოს უფროსი

ზაზა ფანცულაია

მომსახურების მიმღები:

ფიზიკური პირი

გიორგი ქევანიშვილი

SOLO

გადარიცხვა ბიუჯეტში

გადარიცხვის დეტალები

ანგარიშის მფლობელი	გიორგი ქევანიშვილი
ანგარიშიდან	GE53BG0000000100361100GEL
თანხა	50 GEL
დანიშნულება	ხელშეკრულების ნომ N O61/09 მომსახურება - მუხლი 3, პუნქტი 4
თარიღი	07/09/2023
საბუთის ნომერი	18485796499

გადამხდელი

გადამხდელის სახელი	გიორგი ქევანიშვილი
გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	60002009962

მიმღები

ბანკი	TRESGE22
მიმღების დასახელება	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის მიერ გაწეული მომსახურების საფასური
ანგარიშზე	707137049